

# დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

## განვითარებადი ინფრასტრუქტურა - მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლის ფაქტორი

### INFRASTRUCTURE AS FACTOR OF DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS

#### ლეილა ტეტსხლაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასისტენტ-პროფესორი

#### LEILA TSETSKHLADZE

Doctor of Business Administration, Batumi Shota  
Rustaveli State University, assistant professor

#### ანოტაცია

სტატიაში განხილულია ცნებები „infrastructure“, „mcire და საშუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურა“. მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის არსებობა და მისი მდგომარეობა. სტატია ასახავს საწარმოთა ინფრასტრუქტურის ძირითად ელემენტებს და ობიექტებს. ასევე აღწერილია მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მცირე და საშუალო ბიზნესი, ინფრასტრუქტურა, ინოვაციები, მხარდაჭერის ღონისძიებები, სახელმწიფო მხარდაჭერა.

#### Abstract

There are discussed notions of “Infrastructure” and “Infrastructure of small and medium business” in the article. One of the main reason of successful acting in the market of small and medium business is infrastructure and infrastructure condition. There are represented main elements and objects of enterprise infrastructure in the following article. We can see essential role of government support in small business infrastructure for promotion future economic development of country.

**Key words:** small and large Business, infrastructure, innovation, support measures, government support.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა დაადასტურა, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ეროვნული წარმოების განვითარების გარეშე. მხოლოდ მისი მეშვეობით იქმნება ქვეყნის რეალური სიმდიდრე და მატერიალური საფუძველი სხვა დარგების განვითარებისათვის. დღეისათვის ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სიმძლავრესა და განვითარების დონეზე მსჯელობენ ბიზნესის გარემოს ჯანსაღი პირობებით. აქედან გამომდინარე, ბიზნესი საქართველოსთვისაც ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ხდება, ხოლო მეწარმეობის ხელშეწყობა, ინოვაციური და

უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა სახელმწიფოს მიზნებს შორის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და თავისუფალი მეწარმეობის გაძლიერებისათვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სერიოზული მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოსახლეობის დაბალ შემოსავლიანი ფენებისათვის შემოსავლების ზრდის საკითხი, რაც საზოგადოებაში სოციალური პრობლემებით გამოწვეული უარყოფითი მუხტის შესუსტებას და ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებას უზრუნველყოფს. ამ გამოწვევის გადაჭრის უპირატეს

გზას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უდიდესი როლი ენიჭება, უპირველესად დასაქმების პრობლემის მოგვარებაში, რადგანაც მან შეიძლება დაასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები. ეს დასტურდება იმითაც, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 60-65% შეადგენს. გარდა ამისა ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში. ეკონომიკის ეს სექტორი დადებით ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც შემოსავლებისა და ხარჯების მიმართულებებში გამოიხატება. შემოსავლების მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით აისახება. ხარჯვით ნაწილში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამისი სოციალური ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გატარებული პოლიტიკა სრულყოფილი არ არის, მაინც შეინიშნება მათი რაოდენობრივი ზრდა, ასევე, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციისა და დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ზრდა, რასაც მოწმობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია შეიმუშავა. საქართველოში საწარმოთა ზომის განმსაზღვრელი მეთოდოლოგიის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, ერთ-ერთ რეკომენდაციად არის დაფიქსირებული ევროსტატის სექტორული მიმოხილვის დოკუმენტში. გარდა ამისა, საწარმოთა ზომების ახალი დეფინიციის შემუშავება გათვალისწინებულია მცირე და სა-

შუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმითაც.

2017 წლამდე საწარმოთა ზომას, რომელიც 2002 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიით განისაზღვრებოდა, ჰქონდა შემდეგი სახე:

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნებოდა საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატებოდა 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1,5 მლნ ლარს;

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობდა 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 0,5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე;

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატებოდა 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 0,5 მლნ ლარს.

2017 წლიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს:


მსხვილ საწარმოებს მიეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს;

საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა - 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე;

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებს გრაფიკულად აქვთ შემდეგი სახე:

**ნახ.1. მცირე და საშუალო საწარმოებში პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი) წყარო: შედგენილია ავტორის**




მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

აღნიშნული მაჩვენებლები გვაძლევს შემდეგი ანალიზის საშუალებას: მცირე და საშუალო საწარმოებში პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლები თანდათანობით, მაგრამ ზომიერად იზრდება. მცირე ბიზნესში პროდუქციის გამოშვება 2015 წელს 2012 წელთან შედარებით

თითქმის 50%-ით გაიზარდა, ხოლო 2014 წელთან შედარებით - 15%-ით. ასევე, დასაქმების მაჩვენებელიც 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 17%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 4%-ით.

**ნახ.2. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა (აTasi კაცი)**



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საშუალო ზომის საწარმოებშიც მსგავსი ტენდენცია გვაქვს. 2015 წელს პროდუქციის გამოშვება 2012 წელთან შედარებით 29%-ით გაიზარდა, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 19%-ით. დასაქმებულთა მხრივაც 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გვაქვს ზრდა 15%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით კი - 8%-ით.

რაც შეეხება მსხვილ ბიზნესს, პროდუქციის გამოშვება 2015 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 19%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით - 12%-ით. დასაქმების მაჩვენებლებსაც აქვთ შესაბამისად 17% და 4%-იანი ზრდა. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს მზარდი ტენდენცია.

მცირე და საშუალო საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების კიდევ უფრო ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ინფრასტრუქტურის სრულყოფის დონის მიხედვით და მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობის ზრდას შორის, შესაბამისად იზრდება მათი წვლილი ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებელთა ზრდაში.

თანამედროვე ენციკლოპედია ტერმინ „ინფრასტრუქტურა“ (ლათინურად ინფრა – დაბლა, სტრუქტურა-განლაგება) განსაზღვრავს როგორც ალტურვილობების, შენობების, სისტემებისა და სამსახურების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია მატერიალური წარმოების დარგების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ინფრასტრუქტურა“ პირველად XX ს-ის 40-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. ამერიკელმა ეკონომისტმა პაულ როზენშტეინ-როდანმა ინფრასტრუქტურა განსაზღვრა როგორც პირობების ერთობლიობა,

რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ძირითად დარგებში მეწარმეობის განვითარებისათვის კეთილსაზურველი პირობების შექმნას.

ამდენად, ინფრასტრუქტურის ქვეშ ესმით ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებას და დასახლებებისა და სხვადასხვა ტიპის ტერიტორიების ფუნქციონირებას, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ქვესისტემას.

მსს მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა - ეს არის სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო, კომერციული ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო, კონსალტინგურ და სხვა სახის მომსახურებას, რითაც უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის სათანადო გარემოს შექმნას.

მცირე საწარმოთა საქმიანი შესაძლებლობების გაფართოება წარმოადგენს ახალ ელემენტს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამომავლოდ. მეწარმეების მხრიდან ბიზნეს-მომსახურებაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს, არამედ სწავლების შესაძლებლობებსაც, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიონალური ცოდნის მიღებას სამართლისა და ფინანსების საკითხებში და ა.შ. ინფრასტრუქტურის ფორმირების მიზანია მსს-ის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებიც წარმოიქმნება ბიზნესის შექმნის, გაძლიერებისა და გაფართოების პროცესში. რეგიონთაშორის და საერთაშორისო კავშირების განვითარება-გაფართოება შესაძლებლობებს შექმნის საქონლისა და



მომსახურების გაფართოებისათვის საერთაშორისო და რეგიონულ ბაზრებზე, ასევე შესაძლებელი გახდება მცირე საწარმოთა კოოპერაციის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება, მათ შორის სუბკონტრაქტული ურთიერთობები საშუალო და მსხვილ საწარმოებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ძალიან მნიშვნელოვანია მცირე საწარმოთა მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე, საქმიან შეხვედრებზე.

ინფრასტრუქტურის ეკონომიკური შინაარსის გაგება შესაძლებელია მისი ფუნქციათა სისტემით.

პირველი ფუნქციაა ზოგადად მეურნეობის დარგებისათვის, ასევე რეგიონებში, საწარმოებში და სოციალურ სფეროში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის თანაბარი პირობების შექმნა.

მეორე ფუნქცია უკავშირდება მას როგორც სისტემაშემქმნელის როლს. ის განაპირობებს კვლავწარმოების ფაზების ერთიანობას, როგორც სახალხო მეურნეობაში ასევე მის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში, რაც მიიღწევა კვლავწარმოების პროცესში ურთიერთკავშირის დამყარებით.

მესამე ფუნქცია მდგომარეობს სასაქონლო, ფულად, საინფორმაციო და სხვა ნაკადების უწყვეტობის უზრუნველყოფაში, რომლებიც ქმნიან პირობებს მდგრადი კვლავწარმოების საერთო პირობების ჩამოყალიბებისათვის.

ამდენად ინფრასტრუქტურა წარმოადგენს კაპიტალბრუნვის დაჩქარების პირობას საბაზო დარგებში და მის ცალკეულ კვანძებში. ინფრასტრუქტურის ეფექტიან მოქმედებაზეა დამოკიდებული ის, თუ რა ზომით ხდება ბიზნესზე სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამიტომ ეს მიმართულება წარმოადგენს პრიორიტეტულს.

მსს-ის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის სისტემა შეიძლება დაიყოს შემდეგ ელემენტებად:

მსს-ის დაფინანსების სისტემა. ის მოიცავს მიკროფინანსირების, ლიზინგის, დაზღვევის სისტემებს;

მსს-ის ქონებრივი პრობლემების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სისტემა. მასში შედის ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები, საწარმოო-ტექნოლოგიური ცენტრები და ა.შ.

კონსალტინგის, საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემა, რაც აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერებისათვის - ბიზნეს-დაგეგმარება, მენეჯმენტი, მარკეტინგი, პატენტები, პერსონალის მართვა, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, იურიდიული მომსახურება; აქვე შეიძლება ვიგულისხმოთ ინფორმაციის მიღება და გადაამუშავება, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება, მონაცემთა ბაზების შექმნა, ბიზნესის გაძლიერების ელექტრონული ფორმების განვითარება, მეწარმეობის საინფორმაციო რესურსების გაერთიანება;

ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშ-

ვნელოვანესი ელემენტია სამართლებრივი ბაზის ფორმირების სისტემა. მოცემული ელემენტი უზრუნველყოფს საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებას, კანონმდებლობის გამოყენებაზე მონიტორინგს, საკანონმდებლო წინადადებების შეთავაზებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის;

აუტსორსინგისა და აუტსტაფინგის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია გარე ორგანიზაციებიდან რესურსების მოზიდვასთან. ამ სისტემის მიზანია ცალკეული ბიზნეს-პროცესების უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფა, რითაც საწარმოები თავიდან ირიდებენ ძვირადღირებული შტატების შენახვას და იყენებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებას. აქვე შედის პერსონალის ლიზინგი;

სისტემა, რომელიც დაკავშირებულია კადრების მომზადებასა და გადამზადებასთან, კადრების სწავლებასთან.

სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიან ფორმას წარმოადგენს საინფორმაციო-საკონსულტაციო ინსტიტუტი. განსაკუთრებულად აღნიშვნას იმსახურებს ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებიც ბიზნესს აწვდიან ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას საქმიანობის საწყის და მძიმე პირობებში. ისინი არიან არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ მუნიციპალიტეტების და სპონსორების ხარჯზე.

ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ინოვაციებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ინოვაციები წარმოიქმნება სამეცნიერო იდეების წყალობით. მეცნიერული უზრუნველყოფის პრობლემა უკავშირდება ინფრასტრუქტურის ყველა ფუნქციას. ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების პროდუქტი შეიძლება იყოს: მეთოდოლოგია, თეორია, ფუნდამენტური ცოდნა, კვლავწარმოების ახალი მეთოდები, ინოვაციური მენეჯმენტი და მარკეტინგი, ახალი ტექნიკის გამოგონება და ა.შ. მეცნიერება მიეკუთვნება ინფრასტრუქტურას, რომელიც უშუალოდ საჭიროებს ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას.

დღეისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიან მდგომარეობას უკავშირებს განვითარების ინოვაციურ გზას. ამასთან სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის გამოყენება წყვეტს მთელ რიგ ამოცანებს: ინოვაციური და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა, საკადრო ინფრასტრუქტურა, ასევე მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება.

მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

1. უზრუნველყოფა დამწყებ მეწარმეთა კომპლექსური მხარდაჭერა და შესაბამისად, ახალ სამეურნეო სუბიექტთა და ახალ ძალთა გადაღობა ეკონომიკაში; მეწარმეობისათვის სირთულეს

წარმოადგენს ფორმირების ეტაპი. სტატისტიკა მოწმობს, რომ დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ 10 დამწვევი საწარმოდან რჩება მხოლოდ 3, ხოლო 10 წლის შემდეგ მცირე ბიზნესის სფეროში რჩება მხოლოდ ერთი საწარმო. ამიტომ მნიშვნელოვანია ახალი სამურნო სუბიექტების სტიმულირება. ასევე, მათ მიერ ფორმირების ეტაპის წარმატებით გაველა;

2. მოიხილება ჯანსაღი საზოგადოებრივი სამეწარმეო სტრუქტურები მეწარმეთა ასოციაციებისა და კავშირების სახით, რომლის მიზანიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების რეალიზაცია, რითაც ხარჯებისა და ტვირთის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ორგანოებიდან გადანაწილდება აღნიშნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე;

3. მიმდინარეობს ძვრები მეწარმეებსა და ხელისუფლებას შორის არსებული ბარიერების თვალსაზრისით და იკვლება ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელიც ეფუძნება მოქალაქეებსა და ხელისუფლების ინსტიტუციებს შორის უნდობლობას. ბიზნეს-ინკუბატორები ეს არის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც წყვეტს როგორც წმინდა სოციალურ, ასევე ეკონომიკურ პრობლემებს;

4. უზრუნველყოფა ფულადი სახსრების ეკონომია, როცა მეწარმეს არ სჭირდება ფულის ხარჯვა კონსულტაციებსა და იმის დაზუსტებაში ღირს თუ არა ხარჯების გაწევა;

5. იქმნება იმის საშუალება, რომ გამოყენებულ იქნას საკუთარი სამეცნიერო შემუშავებანი და წარმოებულ იქნას ახალი ხარისხის პროდუქცია. ინფრასტრუქტურის განვითარება განაპირობებს არა მხოლოდ ახალი საწარმოების გაჩენას, არამედ ახალი მეცნიერებატევადი საწარმოების შექმნას.

საქართველოში მეწარმეობის, როგორც საბაზრო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი კომპონენტის გაჩენასთან ერთად ყალიბდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული ინსტიტუტები. ამასთან, მისი ნაწილის ჩამოყალიბება მოხდა სტიქიურად, ხოლო ნაწილი კი სახელმწიფო, საზოგა-

დობრივი სტრუქტურებისა და საერთაშორისო პროგრამების მიზანმიმართული მოქმედებებით.

ზოგადი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020, აგრეთვე სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის“.

კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების კონტექსტში. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის“ ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპს; მთავარი მიზანი არის აღნიშნული სექტორის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის.

ამრიგად, ინფრასტრუქტურის პრობლემა არის რთული და მრავალასპექტიანი. კვლავ წარმოების, ბაზრის, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის საკითხები წარმოადგენს მოცემული პრობლემის მხოლოდ ნაწილს. ყოველი მათგანის გადაჭრას აქვს დიდი სამეცნიერო და სამეურნეო მნიშვნელობა. ბიზნესის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს კომპლექსურ, რეგიონულ და დარგთაშორის პრობლემას, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია განვითარების ერთიანი მიდგომის პირობებში.

## ლიტერატურა/REFERENCES

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020;
2. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის;
3. Geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.